საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე “ქ.თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქ.#53, ს.კ.№01.13.03.010.054 ოთხსართულიანი (სარდაფით) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები”

შპს “თბილსანტექმონტაჟის” დავალებით, ჩვენს მიერ 2020 წლის ივნისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქ.#53, ს.კ.№01.13.03.010.054 ოთხსართულიანი (სარდაფით) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქ.#53, ს.კ.№01.13.03.010.054 ოთხსართულიანი (სარდაფით) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან, და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს “გენგეო”-ს მიერ მიერ 2020 წლის სექტემბერში. სამუშაოების უშუალო შემსრულებელი, ინჟინერ-გეოლოგი დ. ბობოხიძე. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაშია შესრულებული ქანების თვისებების გამოკვლევები და გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1) ტექნიკური დავალება.
2) სარჩევი.
3) შესავალი.
4) გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები.
5) დასკვნები და რეკომენდაციები.
6) მოედნის ტოპოგეგმა.
7) მოედნის გეოლოგიური ჭრილები.
8) ცხრილი გრუნტის თვისებებზე.
9) ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე, დასკვნით.

პროქტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 2 სართულიანი სავაჭრო ცენტრი, სარდაფით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება ბეტონის ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი თითოებული 6 მ. სიგრძის. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები გრუნტების თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა შემდეგი ფენები:

1) ფენა №1 – ნაყარი გრუნტი;
2) ფენა №2 – თიხნარი;
3) ფენა №3 – კენჭნარი;
4) ფენა №4 – გამოფიტული სუბარგილიტები და ქვიშაქვები.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და კლიმატური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების საინჯინრო გეოლოგიური დახასიათება. განსაზღვრულია მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე ავტორი იძლევა წინადადებას მომავალი შენობის ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქ.#53, ს.კ.№01.13.03.010.054 ოთხსართულიანი (სარდაფით) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. **ზემოაღნიშნული ქანების მაჩვენებლები იძლევა გარანტიას, რომ მშენებლობის დაწყების შედეგად არ განვითარდება არახელსაყრელი მოვლენები, კერძოდ მეწყერი, ჯდენა, ჩაქცევა და ა.შ.**

ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/